

რედაქცია

მოღონის (აბას-აბასის) მედნაზე, შორანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მედიკოსების სტამბაში. ქალაქს ვარეშე მცხოვრებთათვის: Въ Типографіи. Въ редакціи газеты „Дრობა“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კა., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაა, ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაა, ციცეროთი, სტრიქ. — 1 კაა, პეტით — 4 კაა.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს ვაჭარზენილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

# დროება

გამოდის კვირარაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

ხელის-მოწერა ამ წლის

## „დროებაზე“

ახლაც შეიძლება, ახალი ხელის-მომწერლები, თუ ისურვებენ, თავი-დამ მიიღებენ ყველა ამ წლის ნომერებს, რაც გამოსულა; შეიძლება აგრეთვე რომელიმე თვიდამ დაიბარონ გაზეთი.

დაწერილებითი პირობები გაზეთის სათაურშია.

## საქართველო

### ქარბი დასაწყისი

ჩვენი ქალაქის ახალი გამგეობა კარგი ნიშნებით იწყებს თავის მოქმედებას. ბევრ სხვა და სხვა საგნებ შორის, რომელთადაც ახლანდელ ხმინებს „ჭსურთ მოლაპარაკება, ზოგიერთი ისეთი ურევია, რომლის მალე და რიგიანათ გადაწყვეტა სწორეთ რომ აუცილებელ საქაროებას შეადგენს ქალაქისთვის.

ამ გვარ კითხვებ შორის პირველი ადგილი, რასაკვირველია, ქალაქის გაზით განათებასა და წყლის გაყენას ეკუთვნის.

ბედი არ ჰქონდა დღემდინ ამ ორ საგანს. აღნიშნული გამგეობა, თითქმის თვალზე აკრული კაცი, ისე დაეძებდა, რომ ვისმე ეკისრნა ეს საქმე; თითქმის ეშინოდა საქვეყნოთ გამოცხადებინა, რომ ქალაქს გაზით განათება და წყლის გაყენა ეჭირებოდა. შინაურულად უნდოდა საქმის გარიგება.

და არიგებდნენ კიდევ... მაგრამ, დაუკვეხნელად ვიტყვი, რომ ადგილობრივმა გაზეთებმა გამოიხსნა ამ შემთხვევაში ქალაქი და იმის გამგეობა უბრალო ხარჯისა და დიდი შეცდომისაგან: თორემ რა ადგილობრივი გაზეთები არა, ქალაქის გამგეობა ისეთს პირს (რუკას) უპირობდა ამ საქმის მინდობას, რომელსაც ღონისძიება არ ჰქონია იმის შესრულებასა, რადგან, როგორც ბოლოს აღმოჩნდა, იმას არაერთარი კამპანია არ ჰყავდა და ვერც შეადგენდა...

მტყობა, რომ ახლანდელ გამგეობას უფრო მომეტებულის წინადახედულობით ჰსურს ამ ყურადღების ღირსი საქმის წაყენა.

აი, ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრულებელისა უფ. მლიმირზოვის ჰაზრი ამ საქმის შესახებ:

თუმცა ქალაქის განათებაზე და წყლის გაყენაზე 1867 წლიდამ გვაქვს

მოლაპარაკება, მაგრამ ეს კითხვები ჯერ არ არის რიგიანათ გამოკვლეულია (?). ამის გამო საქაროა ჩვენ შორის ცალკე კამპანია შეედგინოთ, მცოდნე კაცები მოვიბატოთ და ამ კამპიამ განსაზღვროს ამ საგნის ტენიკური და სხვა ყოველ გვარი მხარეა. ამასთანავე, ჩემის ჰაზრით, კარგი იქნებოდა, ამბობს უფ. მლიმირზოვი, რომ ეს საქმე ახლაც გამოცხადოთ რუსულა და უცხო ქვეყნების გაზეთებში, რადგან ამ გვარი საშუალებით უფრო მომეტებული მსურველები და უფრო სალი, საიმედო პირები და კამპანიები გამოჩნდებიან, რომელნიც ჩვენს წინადადებას იკისრებენო.

რა კარგი იქნებოდა, რომ ამდენ ხანს მიხედარიყო ქალაქის გამგეობა და ამ გზით წაეყენა საქმე! ახლა დიდი ხნის გათავებული იქნებოდა ეს კითხვა, რომელიც უფ. მლიმირზოვის სიტყვით, 1867 წლიდამ რამდენჯერმე ატენილა და დაბოლოება კი ვერა ღირსებია. ახლა ქალაქი გაზით დასაწყისი იქნებოდა გაზის სინათლითა და იძულებულნი აღარ ეიქნებოდით, რომ თულუხნის წყალი გვესვა და საქმელში გვეხარა!

მაგრამ გვიან სჯობიან სულ არაობას. მინატრით, რომ კარგათ დაწყებული საქმე კარგათაც გათავებულიყო. რასაკვირველია, ჩვენს ქალაქს ბევრი სხვა საქაროებაც აქვს; მაგრამ გაზით ჩვენი დაბნელებული ქუჩების განათება და რიგიანი წყლით ჩვენი გაუქმებული სტომამქების დაკმაყოფილება ისეთი საქმე იქნება ახლანდელი ქალაქის გამგეობის მხრით, რომლითაც მარად სახსოვარს სახელსა და მდლობას დაიმსახურებენ ქალაქის ხალხისაგან...

ს. მესხი

### წერილი მუხრანისა კლდიაში-ლისადმი

რასაკვირველია, თქვენ შეტყობილი გექნებათ, რომ თულისში „სკაპენის სუდლუტობა“ წარმოადგინეს. მაშ, ისიც უნდა გიკვირდეს, რომ მოთამაშე ქალების გვარში სულ უცხო ქვეყნელების გვარსა ჰხედავთ... მგება, ეს ფსევდონიმებათ, ე. ი. გამოგონებულ გვარებათ მიიღეთ? არა, გარწმუნებთ, რომ სწორეთ ნამდვილი გვარებია.

ამ პიესისთვის საქარო იყო სამი მოთამაშე ქალი და როგორც აფიშაშია გამოცხადებული, სწორეთ იმ გვარის ქალებმა ითამაშეს: ზაიცევისამ, ანტონოვისკისამ და ლაქოვიჩისამ...

ბანა გიკვირს? უნდა გამოგიტყუდეთ, რომ აქ არ ვიყო და კარგათ არ ვიცნობდე აქურ საზოგადოებას, მეც ძალიან გამოვირდებოდა; მაგრამ ახლა კი ვიცი მიზეზი:

აქური ახალგაზრობა, როგორც მამრობითი, ისე მდედრობითის სქესისა (რასაკვირველია, აქ უმრავლესობაზედ ვამბობ) არა ვითარს საქმეში არ გაერევა ისე, თუ მისი საპირადო, კერძო და თავის გამოჩენი არ იქნა. საზოგადო ინტერესი ამათთვის ჩააა და ბზა!

მაგალითად ავიღოთ, თუ გინდთატი: რა შემთხვევაში მიიღებს წარმოდგენაში მონაწილეობს აქური ქალი? მაშინ, როდესაც რომელიმე კერძო უფროსი პირის სიამოვნება უნდა და კერძოთ თავის გამოჩენა, თორემ უამისოთ გინდ ქვა ქვანდაც ნულარ ყოფილა! საზოგადო კეთილი საქმე რა მისი ხელობაა?

აი, ამ შემთხვევაშიაც რა პასუხები მივიღეთ აქურ ქალებისაგან: ერთმა შემოგვითვალა, რომ მე დიდი ოჯახისა ვარ და არ შეკადრება ამ გვარს წვილმან საქმეებში გარევა, ჩემი საქმე დიდი და გამოსაჩენი საქმეებიაო. ე. ი. ბალები, ტანცაობა და ფაიტონებით აქეთ-იქით სირბილით.

მეორემ გვითხრა, რომ მე დიდი სურვილი მაქვს საზოგადოთ კეთილ-საქმეებში მონაწილეობის მიღებისაო, მაგრამ ნათესავები მიშლიანო. მესამემ გვიპასუხა, რომ თუ მისთანა როლი არ შექნება, სადაც ჩემი მალალი ნიჭი გამობრწყინდება, არ ვითამაშებო.

მეოთხემ პირობა გეთხოვა, რომ ჯერ ათასი მეტანია მიყაეთ, მერე ცამდი ქება შემასხით და მხოლოდ მაშინ ვითამაშებო და სხე.

სხვებმა კი უფრო მოკლე მიზეზები გვითხრეს: მოგკლიათ! რა დროს საზოგადო და საქველ-მოქმედო საქმეებია, გაზაფხულია, ბალებში ქეიფი გვინდაო!

მაგრამ დაენებოთ თავი ამ ქალებს და ზოგი ვაჭებზედაც ვსთქვათ.

ძანონით, ჩვენ უნდა იმასა ვნატობდეთ, რომ ნიჭიერი და გაზდილი სპეციალიტები ბევრი გვეყოლოს; მაგრამ მე კი დღეს ამ სურვილის წინააღმდეგი ვარ, რადგანც ვინც კი გვეყავს ნიჭიერები და რამეს მცოდნეები ისინი სულ აღარას გვარგან საზოგადო საქმეებში. მხოლოდ თავის პირადობაზედ არიან გადაყოლილები და იბერებიან.

ამას წინათ კონცერტი იყო და მე წამომცდა, მოდი ერთი ჩვენი შესანიშნავი მუსიკოსები უფ. მ. და ს. მოციწვიოთქო და სიცილი დამაყარეს:

განა არ იცი, რომ ისინი არ იკადრებენ მაგ გვარს საქმეებსო? და თურმე მართალიც მითხრეს.

მართმა ახალგაზდა კაცმა ამას წინათ სახალხოთ აღიარა, რომ მე მხოლოდ მისთანა საქმეში მივიღებ მონაწილეობას, სადაც ჩემი მშვენიერი ნიჭის და კეთილ-ხმოვანების გამოჩენა შემეძლებაო და დაფასებენო, თორემ საზოგადო საქმე რა არისო?

აქედამ ის გამოდის, რომ აქური ახალგაზრობა არ იღებს მონაწილეობას არაფერს საქმეში და თუ იღებს, მხოლოდ მაშინ, როდესაც თავს გამოჩენს, ე. ი. პრანჭიობს; მაგრამ იმდენი გამბედაობა კიდევ აქვთ, რომ მისის ენაქარტალობით სკდილობს სხვებსაც, რომელნიც შეძლებსა დაგვარად სკდილობენ საზოგადო კეთილს, ხელი შეუშალონ როგორმე.

ამ შემთხვევაში რაღა დარჩება ჩვენს პატიოსან ახალგაზრობას მის მეტი, რომ ამ ბატონ-კაცებს ზურგი უჩვენოს ყოველს შემთხვევაში.

ღიხ, გულს გვიკლავს აქური ახალგაზრობა მდრამ მდრამა ღმერთს, იმედი არ გვექნება სრულიად დაკარგული, მაშინ როდესაც თუ ამერებში ვერა, იმ-ერებში მაინც ვხედავთ საზოგადო საქმისათვის თავგამოცხადულებს როგორც ვაჭებს, ისე ქალებსაც და მათს რიცხვში პირველად თქვენ.

ეს ათი წელიწადია, რაც თქვენი თავგანწირული და ყოველის მხრით უანგარო შრომა საზოგადო საქმეებში სამაგალითოთა და ჯერ მიუბაძვი. ამისათვის ვისურვებთ ერთად თქვენს კეთილ-დღეობასთან იმასაც, რომ თქვენის მიხედვით სხვებიც გამოსულ-იყვნენ საზოგადო ასპარეზზედ.

აკაკი

### დღიური

მტრის ენები ლაპარაკობდნენ, რომ თულისის საადგილ-მამულო ბანკილამ ფულების აღება ძალიან დაგვიანდებოდა, რადგან ყოველივე გადაწყვეტილობა ბანკის გამგეობისა, სესხის მიცემის თაობაზედ, პეტერბურღში უნდა გაიგზავნოს და კრედიტის კანცელიარისაგან დამტკიცებული უნდა იქნას, და ამაში დიდი დრო დაიკარგებოდა. ამ უსაფუძვლო შიშის მოსასპობელად, ჩვენ შეგვიძლიან ვაცნობოთ ყველას, რომ ში პირის აქედამ გაგზავნილი გადაწყვეტილობა, მაისის 11 დამტკიცდა და ეცნობა ჩვენი ბანკის გამგეობას. მაშასადამე ამ მხრით ბანკილამ სესხის აღებას არაერთარი დაბრკოლება და არც დაგვიანება არ მოეღის... სიტაოდენი დაბრკოლება ჯერ-ჯერ

რობით მხოლოდ აქვია, მაგრამ, უცქველია, ესეც მალე მოისპობა.

□ მიეპქვეთ მკიდველის ყურადღებას იმ მიზნად გამოგზავნილ მშენებელს კარრესპონდენციას, რომელიც ჩვენი გაზეთის დღევანდელს ნომერშია დაბეჭდილი. ისეთი კითხვებია იმ კარრესპონდენციაში აღძრული, ისეთს საგნებზეა სჯა და ამასთანავე ისეთის სწორმხედველობით და საქმის ცოდნით, რომ მართლა და ნამდვილად ღირსია, რომ ყველა ამებზე საზოგადო ყურადღება მიქცეული იყეს.

□ ჩვენ მოგვივიდა მუთასილამ, უფ. იოსებ ჯინოვისაგან ერთი ნომერი იმ პირველი ქართული გაზეთისა, რომელიც „ღროების“ მე-50 ნომერში იყო მოხსენებული. ამ გაზეთის რქმევია სახელად „ქართული ბაზეთი“. ჩვენ რომ 26 მივიღეთ, ის მე-36 ნომერია 1821 წ. 16 სექტემბრისა. მართი საწერი ქალაქის თაბახის ოდენაა, ორ კალიანთ დაბეჭდილი. არ არის მოხსენებული—თუ ეინ ყოფილა ან რედაქტორი ან გამომცემელი ამ გაზეთისა; მაგრამ, როგორც შეგვიტყვია, მმართველობის ხარჯით გამოდიოდა.

უფ. ჯანოვი გეწერს, რომ ეს ნომერი იაკობ ივანეს ძეს ძოკოჩაშვილს გამოვართვიო. მრივეს დიდს მადლობას უძღვნით გამოგზავნიასათვის. „ღროების“ შემდეგ ნომერში ამ გაზეთის ფურცლები აღადგინდა.

□ ახალ-სენაკის მაზრიდამ გვატყობინებენ, რომ ამ უფლის ზოგიერთს სოფლებში გადამდები ავთიმყოფობა (სახადი, საოფლე) გაჩენილა და ბევრ ხალხს ჰხოცავსო. სრუმორწმუნე ხალხი მკითხავენთან მირბიანო და ამათი პასუხი და ექიმობა მხოლოდ ის არისო, რომ სხვა და სხვა სალოცავებში აგზავნიანო და შესაწირავს ახდევინებენო. ხალხი ძალიან დაფთხო ამ ავთიმყოფობამო და თუ მალე რიგანი ექიმი არ გამოგზავნეს და მკითხავენს წამლობა არ აღუკრძალეს, ბევრ მსხვერპლს წაიღებსო...

□ ამაზბენ, ქლაქის ერთს წრეში ხელახლად არის იმაზე მოლაპარაკება, რომ „პირუტყვების დამფარველი საზოგადოება“ შეადგინონო. ჩვენის ჰაზრით, ურიგო არ იქნებოდა, რომ კაცებს თავიანთი მოძვე ადამიანების დამფარველი საზოგადოების დაარსებაზედაც ცოტა მაინც მოეფიქრათ...

□ ბაზეთს „თფილისის მოამბეს“ გაუგონია, რომ ჩვენს ქალაქში არსდება ისეთი საქალაქო კრედიტის საზოგადოება (ბანკი), რომელიც ქალაქის უძრავ მამულს მიიღებს გირაოთ.

□ მფროსინა ძლიაშვილის მეუღლე გეთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ხონის წარმოდგენაში იმას მონაწილეობა არ მიუღია. ის მფროსინა

ძლიაშვილისა, რომელიც „ღროების“ მე-52 №-ში იყო მოხსენებული, არის ასული უფ. ძლიაშვილისა.

ანგარიში

„სკაპენის ტელუტობის“ წარმოდგენის

მრთხელევი მიღებული ჩვეულებისა მებრ, ვაცხადებთ იმ ქართული წარმოდგენის შემოსავალ-გასავლის ანგარიშს, რომელიც ქართული სცენის მოყვარეთაგან გამართული იყო მაისის 10-ს აქაურს საზაფხულო თეატრში.

უფ. კასირის პეტროვისაგან წარმოდგენილის ანგარიშით სჩანს, რომ სრული შემოსავალი წარმოდგენილამ იყო 363 მან. და 70 კაპ. აქედამ დაიხარჯა: თეატრის ანტრეპრიონერს ნაპოლეონ სიენის თეატრის ქირად, ორკესტრისთვის, ბალის განათებისა და კოსტუმებისათვის—150 მან. დანარჩენი ხარჯი: ფორტოპიანის ქირა, ლუქმას, ფორტოპიანოს დამკვრელს, აფიშის ქალაქის და სხვ.—59 მან. ასე რომ სულ დაიხარჯა—209 მანეთი.

დარჩა, ხარჯს გარდა—154 მან. და 70 კაპ.

ამ ფულებიდან უფ. ანგარიშსა და დანდუროეს, რომლის ბენეფისიც იყო წარმოდგენა, მიეცათ 124 მან. 70 კაპ. დარჩა, სცენის სასარგებლოთ, 30 მან. სულ სცენის სასარგებლოთ არის ახლა 75 მანეთი და ერთი აბაზი.

წარმოდგენის გამგებელი ს. მესხი

ღროების კორპორაციონალის

მიზივი, 11 მაისს

მთელმა ქართველობამ იცის, რამოტელა უბედურება მიაცენა ამ ორმა-სამმა წელიწადმა უმოსაველობით ქიზიყელებს. წინათ მხიარული, უდარდელი, მოცინარე და მხნე ქიზიყელი შექმუხნილი და მგლოვიარე რამ იყო ამ სამი წლის განმავლობაში.

წლივანდელმა თოვლიანმა ზამ-

ის კორრესპონდენცია ჩვენ შემდეგს წერილით მივიღეთ:

„უფალო რედაქტორო, გთხოვთ ეს შენიშვნა დამიბეჭდოთ თქვენს გაზეთში. ამის უღონო დამწერს, რასაკვირველია, ის არა აქვს სახეში, რომ თავის მოკლე სტატიით იქონიოს იმოტელა ზედმოქმედება, რომ მოეწიოს თავის ნამტკვენი გულის წადილის აღსრულებას. მაგრამ სამწუხაროთ, უნდა ვსთქვა—ჯერ რომელ ნიჭიერ სტატიას მოუხდენია ჩვენ დაძინებულ ქართველებზე იმ გვარი მოულოდნელი შერყევა, რომელს გამოუღიზიანებია და სწორე გზაზე დაუყენებია ქართველი კაცი, რომ მე ასეთ აუსრულებელ ღოდინში ვიყუე? მე დარწმუნებული ვარ, რომ შენიშვნა მხოლოდ შენიშვნათ დარჩება, რომ ჩვენში სიტყვა და საქმე დაძმობას გვიან გასწვენ. მაინც კიდევ ვიღებ თქვენ წინ მთხოვნელის როლს, რომ, თუ არ იქნება თქვენი მიზნის წინააღმდეგი, მისცეთ ამასაც „ღროებაში“ ადგილი.“

თარმა და გაზაფხულის ნოტიო ჰაერმა ეს ხალხი უცებ მოწმინდა, მოუბრუნა სიხიარულეც და ეაქაცობაც თითქმის უწინდელზე მომეტებული. იმათ დ მხანველს თითონაც რ.ლ.ც იმედი ეძლეოდა და, სხვა რასმეზე შეწუხებულს, მაინც სიხიარულისალი უჩუჩუნებდა გულში. მიზიყელმა კაცმა იცოდა, რომ ამ წელიწადს უეჭველათ გაიძლობდა მწუხარე და „ჩამაყარეს“ მძახელ კუჭსა. მოსავლის პირიანობა დაინახა ყველა თავის ჰირნახულში: ჯეჯილები სასარტყლემდის ადგებოდა აპრილის ნახევარში,—ეს ჩვენთვის საკვირველია, რომ ყანამ ასე ადრე ანეთი სიმაღლე დაიჭირა,—მაისში თავთავი ამოჰყოფდა, და მაშინ შიგ კაცი აღარც კი გამოჩნდებოდა. მათთავი მართლა ამოიღო თითო მტკაელიანი. ჩვენს სიხარულის სამზღვარი არა ჰქონდა: ყველანი დღიურს ორი მძიმე ურმის სულოდის მომცემ ზნდუკათა ვთვლიდით. მხოლოდ ის იყო ჩვენი სანაწური—რატომ ნახნავები ბლომათ არ ვიზრუნეთო!

მაგრამ სცენა გამოიცვალა: მოღრუბლული ცა, რომელმაც თითქმის თავი მოგაბებზრა, შეიცვალა, სახე მოიწმინდა, მეძავი დედაკაცივით გვიკრიჭა კბილები! მზემ დილით საღამომდის არ მოგვაკლო ცხარე სხივების გზაზე. მიწა, რომელსაც ორ არწინზე მაინც ექნებოდა სისველე გამჯდარი, გაშრა და ეხლა სულ დახეთქილია. შანამ ჩამოყარა ყურები იმ დროს, როდესაც თავთავში ჯერ რძე არა ჰქონდა ჩამდგარი, ისეთ მწუხარეთ და მგლოვიარეთ ჩამოჰკიდა უღონო თავთავები, ასე ჰგონია ქიზიყელებს ანდერძს უგებსო.

შეწუხებაში გაღიმებულმა ქიზიყელმა უკანასკნელათ შეჰხედა ქვეყანას კაცური თვალით, რომ მერე ჩაეარდნილიყო უიმედობაში.

ღღეს მიზიყი ისეთი საზარელი სახანაგია, ისეთი მტირალი, თითქო ყველა სახლში ორ-ორი მკედარი მაინცა ჰყავთო.

ბუნების სიხიარულემ გაახარა ხალხი და ბუნებისავე შეწუხებამ დაგვიღონა. უბრალო გარემოება იყო საკმარისი—უწვიმობა,—რომ ასე დაეჩაგრნა ჩვენი თავი ბუნებას. მერე რა ნაირათ დ გეჩაგრა: არ, ჩვენ ვაპირებთ დაეხდეთ შიმშილის უიმედო მსხვერპლნი მაშინ, როდესაც მიზიყის დასაველეთით საკმაოთ მოზღილი მდინარე იორი დამდერის და დამოსაველეთით კი მას დაჰბუტბუტებს ალაზანი.

ადრევე, როდესაც ჩვენ ქვეყანას აქეთ-იქილამ ესხმებოდნენ უთვალავი ბარბაროსი მტრები, მთელი ნაცია ადგებოდა, იტებდა თავს ისეთი საშუალების საპოვნელათ, რომ როგორმე მტერს არას გზით დანებებულყო,—და მართლათაც, უმეტეს ნაწილათ, გამარჯვებული გამოდიოდა ბრძოლიდან. ღღეს კი არაგის ფიქრათაც არ მოსდის, რომ შეიძლებოდეს ასეთი უბედურების რითიმე აცდენა. ღღეს ყველა დარწმუნებულია, რომ

მიზიყის წახდენა თვით მშენებლის უნდა, რომ ამისი უცდენი ყოფილიყო არ მოხერხდებოდა. ღღეს ყველას დაუწყვია გულზე ხელები, ეძლევა დარბაისლურ ხელთ-უპყრობას და ელის შიშით ტრ. გიკულ ბოლოს და თავის განადგურებას. თითო-თითო მიზიყის სოფელი რომ დაიაროთ, ყველგან ერთსა და იმავე სურათსა ნახათ: ასასობით და მტკობით, ამისთანა მშენებელი სამუშაო დღეებში, სხედან, აზნაურები ან სხვა სოფლის ტუხეები გლეხებით გარს შემორტყმულნი და ლიჯინობენ. არაგის ფიქრათაც არ მოსდის ის ერეტიკული ჰაზრი, რომ რავე საშუალებით თავისი ნაღეწ-ნაღაგევი არ გაატანოს გოლვას და თითონაც თან არ გადაჰყვეს; თავისი ოფლი მისდის, ის ოფლი, რომელმაც უნდა შეინახოს თითონ მუშა, ამისი სახლობა, გასცეს პასუხი ხაზინას, მოვალეს,—ეს ოფლი ელუბება და თითონვე კი, საღი ჯანით, მაყურებელია ამ სურათისა...

ბატონ-ყმობა გადაეარდა; მაგრამ იმისი დალი ზედვე დაგერჩა: უინიციატეობა, სხვის ხელში შეყურვა, სხვის იმედით ცხოვრება. მაჭარება დედაა ახალი საშუალების გამოგონებისა, ცხოვრების გაუმჯობესობისა და განათლებისაო. მთ ეს ასეა, მე გულადათ შემიძლიან ეთქვა, რომ ქიზიყელები თვის ეს თქმულობა არა არსებობს. ამაზე დიდ გაჭირებას საღლა შეეწრობით?! შიმოსაველობა ცალკე გეაკლებს დღესა და ქურდობა მეორე გვერდზე გვიზის და საცაისიც ნახევრამდის გამოგვიხრამს, მაშინ ხომ უნდა დავეცნეთ უგრძობელნი და საქიროებას საღლა ენახათ, როგორ შეეიტყობთ, რომ მაშინ უშველოთ ჩვენ თავს?

ქურდობაზე როდისმე ვილაპარაკებ. მხლა კი მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ეს სენი, როგორც უმოსაველობა, მკირე მხნეობით და ერთმანეთში პირის მიცემით ადვილათ და ჩქარა ამოვარდება ჩვენი გადატაკებული ხალხის ბედიდამ და გახდება საარხივოთ შესანახი.

ჩვენი ხალხი, ჩვენისავე საკუთარი ისტორიული ცხოვრებით, ისეთი ხასიათისაა, რომ ზოგიერთნი. საითაც გაუძღვებან, ესენიც იქით იზამენ პირსა. მ. ზოგიერთნი კლდეებზე ებლოტებიან, იქ ფოთლით შემოსილ ბუჩქებსა პოულობენ. მიზიყელებს კი ჰგონიათ, რომ ისინი თუ აჩვენებენ გზას, რომ თავი დაახწიონ უბედურებას, თორემ თითონ როგორ რასმე შეუღვებიან უიმათოთ. მაგრამ იმ ზოგიერთებს რა—თითონ კარგათ იყენენ, თორემ სხვები გინდა კლდეში გადაცივიდნენ. სამწუხაროა, რომ ჩვენში ეს ორი კატეგორია შემდგარა, რომლებშიაც უდიდესს დაუწყარებია იმედი უმცირესზე და უმცირესი კი შეურაცხ-ჰყოფს ამ იმედსაც და თავის ვალდებულებასაც. ამაზე უკეთესი გარემოება იშვიათია ხალხის ცხოვრებაში, რომ ეს ორი კატეგორია შეერთდნენ ინტე-



რესებში და ზრუნვიდნენ ერთმანეთით თვის. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში უმცირესს ერთი მისხალი ქონი დააკლდება ტანში, მაგრამ სიყვარული უმრავლესისა და ასაჩუქრებს და არც ეს იქნება ნაკლები ღირსება შესახებ ქონთან...

საკმარისია მარტო ისა, რომ ერთი სიტყვა სთქვას ჩვენი მაზრის უფროსმა და უბრალო გამოსცეს ბრძანება, რომ მთელი ჩვენი ხალხი შეუდგეს ალანისა და ივრის გადმოგდებას სხნაე მიწებში. თუ კი ამოტელა ხალხი ბეგარაზე ბეჯითათ მიდის, განა იქ, სადაც უფრო ცხ. დათა ნახავთ თავის მაცხოვარს, იქ უკან დაიწევს!

ხალხი გაუნათლებელია, თითონ თავის თავად ვერაფრის გამოლება ვერ შესძლო და მხათ არის უფროსების რჩევას გამოაკიდოს. იქონიეთ მოწყალება, გაუძეხით წინა, თორემ რა მადლი იქნება, რომ მთელი მიზიყის ხალხი დაიღუბოს, როდესაც გარშემო არი დიდი მდინარე არტყია და იმათი გადმოგდება ძრიელად დელია ამოტელა უსაქმო ხალხისთვის! სხვა არა იყოს რა, ქართულ ღონეს ტყუილა ყბედობაში და ოხერაში არ გააოხრებს. ძაცს ბრძანების მეტი რომ არა უჭირდეს რა და ამ ბრძანებით დაიმსახუროს მთელი ქვეყნის გულითადი მადლობა, განა ამაზე ადვილია იქნება რამა? ჩვენ ქიზიყელებს ვერც ერთი ორატორი, გინდა თვით დემოსფენიც იყოს, ვერ შეუწყვეს ვერცერთ გონების ძაფს, ვერ დააყენებს საქმეზე: მშიერ მუცელზე როგორღაც ორატორების მოსმენა და ადვლეება არა ხერხდება. აქ, ჩვენდა სამწუხაროთ, ერთი ბრძანებაა საჭირო, ხალხი მაშინვე შეუდგება მეცადინეობას და გულს-მოდგინეთ შეეყრება თავის მაცხოვარ საქმეს, რომლისთვისაც ყველა სოფელს შეუძლიან დღეში ორმოცზე მომეტებული მუშა გაგზავნოს და სახლროც უფიქროს.

შენი მტერი იყოს, რა დღეშიც ჩვენა ვართ და ვიქნებით კიდევ, თუ სულ ასე „შემთხვევაზე“ იქნება დამოკიდებული ჩვენი სიცოცხლე ან სიკვდილი. მხლა ჩვენმა ქიზიყელებმა რომ თავი კაცათ იცნოს, რომ ცოტათი დაიმორჩილოს ბუნება და ჩაიგდოს იმისი ჭახრაკები ხელში, მაშინ, რაკი ლუკმა ნაზრუნი ექნება, ყველაფერი შეუმცირდება — სიბნელეც, ხეობა, ცრუ მორწმუნება, რომლებიც დღეს ასე მეფობენ ჩვენ არსებზე; მაშინ ყველაფერი გაკვერილ გზაზე წავა, — განათლების გულიც გვექნება, ახალ წესებსაც მივითვისებთ, მმართველობის რეფორმებსაც გონიერული თვალთ დაუწყებთ ყურებას, ერთი სიტყვით, ავადწევთ იმ სიმაღლეზე, რომელიც შეშვენის კაცის ღირსებას და ამშვენებს ჩვენ ჯინშს.

თუ ეს ყველაფერი ჩვენ გვინდა მაშინ, როდესაც შიმშილით კუჭი გვეხრაკება და აღარა გავგეგება რა, ყველა იმ ბედნიერ თვისებაებს ჩვენ თვალთაც ვერა ვნახავთ და არც

იმის გული გვექნება, ერთსაც ავცდებით და მეორესაც, ცალი ხელით ორ ნესეს ვერ ავიღებთ.

ტატლა

P. S. შენიშვნა თერთმეტში დავწერე და შემდეგ რიცხვებში მიზიყის ცა ისევ შეგვირიგდა, მოიხუშა, ასტება ქექა-ქუხილი; თუმცა „როგორცა ქუხდა, ისე არა წვიმდა,“ მაგრამ საცა ნათესები გვექონდა, ყველგან საკმაოთ დასველა. ჯერაც ისევ ღრუბლები დასერიანობენ ჩვენში და ქიზიყელ ხალხს სულ დავლურს ათამაშებენ.

მაგრამ... მაგარი ის არის, რომ ჩვენი ბედნიერება მაინც ჩვენ ხელში არა გვრჩება, მაინც ყოველ მიწულს შიშში ვიქნებით, ერთი მოწმენდილი ცა ჩვენ სასოწარკვეთილებში შეგვიყვანს, ხან გვაცინებს, ხან გვატირებს და ამითანა მდგომარეობაში ბევრს ღროს წაგვართმევს, მაინამ ჩვენ ქვეყანასაც არ დავატყობთ, რომ აი აქ ხალხნი სცხოვრობენ, მხნეობენ, თავიანთი სიკეთე ხელთა აქეთ უკუკობილი და ამით უბრალო რამ ვერ დაიმორჩილებსო.

მსეთი ცხოვრების ნიშნში ჩვენ შეგვიძლიან დავძლიოთ მარტო მაშინ, როდესაც ალანსანი და იორი ჩვენთვის გამოუსადეგარი საგანი კი არ იქნებიან, მაშინ, როდესაც ჩვენ დავცდებით იმათი მეფენი და თითო ცვარს რამე სარგებლობას გამოვარდებით.

წელს თუ გინდ მოაქვლი კარგი გვეღირსოს, მემრის და იქით მემრის მაინც უნდა დამხობის იმედი გვექონდეს. ძაი იმედი არ არის, მაშ რა ეშმაკი!

### რუსეთი

„ბირჟის უწყებების“ სიტყვით, პეტერბურღში სდგება ახალი საზოგადოება, რომლის მიზანი იქნება, რომ ყოველ გვარი საშუალობითა ეცადოს პეტერბურღის ღარიბებს შემწეობა მისცეს. სხვათა შორის, ეს საზოგადოება ისეთი ახალი სამეურნეო კალონიებისა და სახელოსნო სასწავლებლის გამართვას აპირებს, სადაც მარტო ღარიბების შეიღებს მიიღებენ და ისეთს ხელობას ასწავლიან, რომ შემდეგ თავის ცოდნითა და შრომით შეეძლოს თავის ღარიბებას.

„პეტერბურღის გაზეთებში იწერებიან, რომ მთავრობა კამისიას ნიშნავს, რომელმანც ახლანდელი სასულიერო აკადემიების წესდება უნდა გადახედოსო.“

„სამი წელიწადია მას აქეთ, რაც პეტერბურღში გაიხსნა პირველად შკოლა იმ ქალებისათვის, რომელნიც ფერმლებათ მომზადებას ისურვებენ. მაშინ მიღებულ ქალებს ახლა გაუთავებიათ სწავლა და, როგორც ერთს იქაურს გაზეთში იწერებიან, რამდენსამე ქალს მშვენიერად დაუჭერიათ ფელდშერობის ვგზამენი. ძანონით, ამისთანა ქალების აფთიაქში მიღება აღკრძალული არ არის.“

„ხერსონის გუბერნიის ერობას სხელმწიფო ქონების სამისტროსთვის უთხოვნია, რომ იმან უშუამდგომლობას და მთავრობამ ცალკე კომისია დანიშნოს, რომელიც ხერსონის უდაბნო ალაგებში არხების გაყვანის თაობაზე გამოკვლევას მოახდენს.“

„სურლიანდისა და მსტილიანდის გუბერნიებში მალე ისეთი კანონი გამოვა, რომელიც ყველა აქაურს მშობლებს ვალდებულად გახდის, რომ თავიანთ შვილებს წერა-კითხვა უსათუოთ ასწავლონ.“

### უსსო ქვეყნები

საზრანგეთი. შრთს ფრანცუზულს ვაზეთში დაბეჭდილია ტელეგრამა, რომელიც პარიჟში რუსის ელჩს მიუღია ბერლინიდან. ამ ტელეგრამაში, სხვათა შორის, შემდეგი სიტყვებია მოყვანილი: „რუსეთის იმპერატორი დარწმუნებული და დამტკიცებული წავიდა აქედამ (ე. ი. ბერლინიდან), რომ შეროპის მშვიდობიანობას არაფერი უფოთი არ დაარღვევს. ბერმანის სრულებით არა მსურს ომიანობის ატება.“

ამ სიტყვებთან საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრის, გერცოგ დეკაზის, სიტყვებაც არის მოყვანილი ამავე ვაზეთში. შრთი ნაცნობისათვის, რომელსაც იმისთვის ეკითხა: რამდენად საფუძელიანია ომიანობის თაობაზე დაყრილი ხმებიო, იმას მიეცა შემდეგი პასუხი: „შინც მოვა ახლა ჩვენთან საბრძოლველად, საფრანგეთში მეომრებს ვერ ნახავს. ჩვენ ლუარს აქეთ გამოვიხმობთ ჯარს, და მაშინ შეროპა იქნება იმის მოწამე, რომ ომიანობა ჩვენ სრულებით არა გვესურს.“

„მაისის 6-ს ნაციონალურ ქრებაში წაუკითხავთ დამატებითი პროექტი კონსტიტუციის კანონებისა. მომეტებულის ხმით ქრებას გადაუწყვეტია, რომ ეს პროექტი სპეციალურს კამისიას უნდა მიენდოს განსახილავათაო. ბონაპარტისტებსა და ლეგიტიმისტებს ამ შემთხვევაში ერთად მიუციათ ხმა.“

„სპანია. მადრიდის ოფიციალურს ვაზეთში დაბეჭდილია მმართველობის დეკრეტი, რომლის ძალითაც ხალხის წარმომადგენლების პალატისათვის (კონგრესისათვის) მალე დეპუტატების ამორჩევა უნდა დაიწყოს. ამავე დეკრეტის სიტყვით, სპანიის პოლიტიკურ ვაზეთებს უფლება მიეცემათ, რომ ყველა კონსტიტუციის კითხვებზე მსჯელობა იქონიონ; მხოლოდ კონსტიტუციურ მონარხიაზე ლაპარაკი ექნებათ აღკრძალული.“

„ამავე ვაზეთში სწერენ, რომ კოროლს ერთი თავის მინისტრისთვის ბეჭდვისა და კრებების თაობაზე ახალი კანონების შედგენა მიუხდენია. ამ კანონის ძალით, ვაზეთებს უფლება ექნებათ, ყველა მინისტრის მონაქმედებაზე და საზოგადო საქმეებზე თავისუფლად ილაპარაკონ, მხოლოდ ომიანობაზე და კოროლზე (დინასტიაზე) სჯა არ შეიძლებაო.“

იტალია. რომის „საქმეებში“ წარდგენილი იყო ამასწავნა, რომელიც ნონი, რომლის ძალითაც ყველა წოდება ვალდებული უნდა გამხდარიყო, რომ სამხედრო სამსახურში ემსახურნა. მს წინადადება, როგორც პარლამენტის წესი მოითხოვს, განსაკუთრებულ კამისიას გადასცეს განსახილველად. ახლა სწერენ, რომ კამისიის ჰაზრი ის არისო, რომ სასულიერო წოდების პირნი სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლებულნი უნდა იყვნენო.

### ქრონიკა

#### მართველი ხალხის ჩამოგავლობა

მართველი ხალხის ზეპირადმოწაცემი ამბობს, რომ ქართველთ ერთ წარმოდგა ნოეს შეილის იაფეტის შეილის შეილისაგანო. მართლაც, მოსეს დაბადება ამბობს, რომ ნოესაგან წარმოიშობა იაფეთიო, იაფეთისაგან იმისი შეილები: ლამერი, მაგოგო, მადაი, იობადი, შლისა, მობელი და შირასიო, და ამ იაფეტის შირეელის შეილის ლამერისაგან იშვა მარგამოსიო, ხოლო ქართველი ერის გადმოწაცემი კიდე ამბობს, რომ ამ მარგამოსისაგან იშვა ქართველების წინაპარი მართლოსიო. ამას უარს არა ჰყოფენ აგრეთვე უცხო ტომისა და ჩვენი ისტორიკოსებიცა. იუდიანელების ისტორიის მწერალი იოსაფ შლავეიოსი, მცხოვრები 70 წელს შრისტეს დაბადების შემდეგ, ასრე ამბობს: „სულ ძველად ქართველთა, ესე იგი ივერთა, მოხელნი ეწოდებისო, ვინაიდან იგინი შაამავლობანი არიან იაფეთის ძის მობელინი.“ მაგრამ ჩვენი და სომხის ისტორიკოსები კი ამ მბრაველს ისტორიკოსს არ ეთანხმებიან და დაქვემდებარებით ამბობენ, რომ ქართველები და სომხები წარმოდგენენ მარგამოსისაგანო. ამ კაცს ქართულად ეწოდება „მარგამოსი“.

ამ სახით ყველანი ერთხმად ამტკიცებენ, რომ ქართველები წარმოიშობიან იაფეტისაგან. მაგრამ ეწინააღმდეგებიან ერთმანერთს იმაში — თუ ქართველები ი. ფეტის რომლისა შეილისაგან იშვნენ. წინააღმდეგობა მკორე რამეშია; მაგრამ ამისიც მოსახრებით ახსნა ადვილად შეიძლება. „მართლის ცხოვრება“ ამბობს: „შეილთაგან მარგამოსისთა გამოჩნდეს კაცი რვანი, გმირნი ძლიერნი და სახელოვანი, რომელთა სახელები ესე არს: შაოს, მართლოს, ბარდოს, მოვკან, ლეკოს, ჰეროს, ძეკასოს და მგროს.“ როგორც ქართველების გადმოწაცემი მოიხსენებს რეაქსას, აგრეთვე დაბადებაც ამბობს, რომ იაფეტს რვა შვილი ჰყვანდაო. მასადაამე დაბადება და ქართველები ამ ფაქტში ერთმანეთს ეთანხმებიან. მაშ რაღაშიღა წინააღმდეგობაჰ პირველი დაბადებისა და ქართველებისაგან ამ ძმებისათვის სახელწოდებაში: დაბადება სხვა სახელებს იხსენიებს, ქართველი ხალხი კი სხვა სა-

ხელგებს. მაგრამ აქ სახელგებში კი არ არის საქმე, არამედ იმაშია, რომ ძმების რიცხვი—ფაქტი ეთნოგრაფიულად ფაქტს.

და არც გასაკვირია, რომ ქართველ ხალხს დროს და დროს განმავლობაში ნამდვილი სახელგები დაწესებულა და იმათ ნაცვლად ეწოდებინოს თავიანთ წინაპრებისათვის თავისებურად ის სახელგები, რაც საქართველოს ტერიტორიის სხვა და სხვა ნაწილს შემდეგში ეწოდებოდა, როგორც მაგ. ახლა უწოდებენ: საციკანო, საბაზათიანო, საგურამო და სხვ. მეორე უთანხმოება იმაშია, რომ ქართველები თავის ჩამომავლობას ამბობენ იაფეთის შეილის—ლამერის შეილის მარგამოსისაგან; შლაგიოსი კი ამტკიცებს, რომ ქართველები მობელისანი არიან.—

მაგრამ თუ კი ენის განყოფის შემდგომად ეს ძმები სომხეთში და საქართველოში ერთად რომ დასახლდნენ, შესაძლო იყო, რომ ამ რვა ძმის უფროსი ძმა, ლამერი, მალე მოკვდებოდა და მის მაგიერად ძმებს მიეღოთ თავიანთ რიცხვში ძმად იმისი შეილი მარგამოსი, როგორათაც მაგ. მოიქცნენ იაკობის შეილები. ცნობილია, რომ იოსების სიკვდილის შემდეგ იაკობის შეილებმა მერემი და მანასე ძმად შეირაცხეს და იმათ შთამომავლობას მანასესი და მერემის მუხლებს ეძახდნენ. რატომ არ შეიძლებოდა, რომ მამის ლამერის სიკვდილის შემდეგ ბიძებს, მლიასს, მადისს, მობელს და სხვებს თავიანთი ძმის წული ისრე მიეღოთ ძმათა რაცხვში, როგორც იაკობის შეილებმა მიიღეს იოსების შეილები?

ასრე ამ გვარად მე ვფიქრობ, რომ მესხები წარმოსდგნენ მოსოხისაგან, მობელნი—(თუ შეები) მობელისაგან, პახეთის ალბანები — მლიასისაგან, მართველები — მარგამოსისაგან და სხვ მაგრამ 2000 წელს, მრ. დბადების წინ, მარგამოსის შეილის მართლობის თავისნობით ეს შეიდი ძმის შთამომავლობა რომ განთავისუფლდა უფროსი ძმის, სომხების მამამთავრის შალასის მძლავრობისაგან, მაშინ ექვს ძმის შთამომავლობამ თავის უფროსად იცნო მარგამოსი, რადგან ყველაზე უფროსი იყო, პოლიტიკურს საქმეში იმის თაოსნობას დაემორჩილა, და აქედან წარმოსდგა წოდება: „მართველი“.

მაგრამ ისტორიკოსები ქართველებს სხვა და სხვა სახელ-წოდებით მოიხსენიებენ. შეველა ქართველ შთამომავლობის თემებს თავისი საკუთარი სახელი ერქოთ, როგორც ეხლა ბურული, იმერელი, მეგრელი, სენი, ინგილო, ქართველი, კახელი, მაგრამ საზოგადო სახელი კი იყო „მართველი“. ის არის მიზეზი, რომ სტრაბონი, ბეროდოტი, მენდოტი ქართველებს სხვა და სხვა სახელებით მოიხსენებენ.

ამ სახით ქართველთა ხალხის ჩამომავლობაზე ჩვენის მსჯელობის დასასკვნელად განვიმეორებ, რომ ქართველი ხალხი წარმოიშობა იაფეთის ექვსი შეილისაგან; ესენი არიან: მაგოგი, მადი, მლიასი, მობელი, მოსოხი, შირასი და ლამერის მესამე შეილისა მარგამოსისაგან, და ამით შთამომავლობას დაერქვა შემდეგში „მართლობისანი“. მაგრამ თეიმურაზ ბატონის შეილისა არ იყოს, „მუხტევათ მართლოს და ნათესაობანი მისნი იყოს შთამომავლობანი მობელისა, გინდა მარგამოსისა; მობელცა და მარგამოსცა არიან ვგრეთცა იაფეთისაგან. იგიცა კმა არს ისტორიისათვის, რომელ ვიცოდეთ მხოლოდ მართლოს ნათესავთ — მთავრად პირველად ჩვენსა.“

ინგილო ჯანაშვილი

**ნარევი**

იტალიის პარლამენტის მარცხენა მხრის დეპუტატებს (რესპუბლიკელებს) სადილი გაუმართავეთ ამას წინათ გამოჩენილი ესპანელების ასტელიარისათვის. იტალიელს ორატორებს თავიანთ სიტყვებში ღიძი მწუხარება გამოუცხადებიათ, რომ ესპანიაში ასე უღროლოთ და ასე უხეუროთ მოისპო რესპუბლიკური მმართველობა. ასტელიარს, თავის მხრით, ღიძი ქება უფუხსავს საფრანგეთის რესპუბლიკელებისათვის და ბოლოს გამოუცხადებია იმედი და ნატურა, რომ რომანულ ტომის ხალხებში ყველგან რესპუბლიკური ფორმა მმართველობისა დაუფუძნდება. გამოჩენილი ორატორის მჭევრ-მეტყვე-

ლურ სიტყვას მსმენელები აღტაცებაში მოუყვანია.

მოსკოვის კომმერციული ბანკიდან ორს ამ ბანკში მოსამსახურე პირს (ბანკერს და ბუიარინს) 168,000 მანეთი მოუპარავეთ და სადღაც დამალულან. ეს ბანკი აცხადებს ახლა, რომ ვინც იმათ იპოვნოს, 3,000 მანეთს საჩუქრს მიიღებს.

პრთი რუსული გაზეთი გვეცნობებს შემდეგ განჩინებას სიმბირსკის გუბერნიის ერთის მომრიგებელ მოსამართლისა: გლეხებმა ხარჯის ამკრებს უჩივლეს თურმე ამ მოსამართლესთან, რომ როდესაც, შეუძლებლობის გამო, თავის დროზე ვერ გადაიხადეთ სახელმწიფო ხარჯი, კვებით გვეცემა. მოსამართლემ, როგორც გაზეთი იწერება, გამართლა მოპასუხე და გლეხებს უარსა: „თუ გლეხებს არა გვემა კაცმა, ისე გადასახდს არ მისცემთო!“

**განცხადებანი**

უ. ახვლედიანის და ვარლამოვის სარძიო სარდაფში, ისყიდება შემდეგი ნაწარმოები:

ქარაკი	—	გირვანქა	—	50	კაპ.
ნაღები	—	—	—	40	—
სვეტანა	—	—	—	30	—
ქველი	—	—	—	15	—
ტეაროვი, ხაჭო	—	—	—	10	—
რძე	—	—	—	6	—
მაწონი	—	—	—	5	—

სარდაფი იპოვება პრევენის მადანზე, სემინარიის პირდაპირ, მანდენოვის სახლებში. (5-3)

„ცხვირცხანსე ნესანსე სამსენსე“  
ად  
„ეყასსენსე“  
საყენსე სამსენსე  
**სყრსყენსე**  
ენაგენსე აყენსე ად ედნენსე

ბამოვიდა და ისყიდება მთელი-ში ქვე. ხელადის სტამბაში:  
სამიჯნურო მიწერა-მწერა  
**ქალ-ვაჟისა**  
შასი ყველგან ერთი შაურის გამოცემული  
ქე. ხელადისაგან. ჩქარა გაიგზავნება სხვა ქალაქებში: ზორში—მ. ქანდ-

ლაკთან. მუთაისში—მ. ასათიანთან (სასულიერო სასწავლებელში) და ს. სემონ ჩომბიძისთან—მ. სემონთან. ანტონ ნაკაშიძესთან და ძაკაბა ზოგვაძეს მალაზიაში.

გუზგალტმარსა და კორრესპონდენტს, რომელსაც კარგი ვაჭრული განათლება მიუღია მსურს აძლიოს გაკვეთილები მრავალი გუზგალტმარისა (двойная бухгалтерия) იტალიურის და ინგლისურის მეტოდით—რუსულს და ნემციურს ენაზე. ასწავლის ბანკების, კომისიონერის, ფაბრიკის და ფინანსის ბუხგალტერისა. შეუძლია ადგილიც დაიჭიროს სადმე.  
უფრო დაწვრილებით ცნობების შეტყობა ამ საგანზე შეიძლება საკერავე მაშინების პანცერის მალაზიაში, ატამანის ქუჩაზე, ზუბალოვის სახლებში, დილის 10 საათიდან ეიდრე 12-მდი.

ბამოვიდა „ვეფხვის ტაოსანი“ გამოცემული არსენ ძალანდის და ამხანაგებისაგან და ისყიდება მთელი-ში: შახ-აზიზოვის, მენფაჯიანცის და მართანოვის წიგნის მალაზიაში და უ. მეფთიმე ხელადის სტამბაში. მუთაისში: ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში, ილარიონ მიქელაძესთან და სასულიერო სასწავლებელში. მსურვეთ-ში: ანტონ ნაკაშიძესთან.

შასი ყოველგან ათი შაურის  
ამას გარდა ამთთანავე ისყიდებიან პაწაწინა წიგნები: ბეჟანოვანი, ძალ-ვაჟიანი, ალექსიანი, ვჰინდა მარინეს ცხოვრება და არსენას ლექსი, გამოცემული იმავე პირთაგან.—შასი თითო შაურის.

მუთაისში მძიმეა გასუტოვება გამოიწერა ერთი ძვირფასი ჰაპარის სასუთქმეპული აპარატი ვალ-დებურლისა, რომელიც ძალიან შევლის ფილტვების და გულის ავთმყოფობას. ეს აპარატი მოქმედობს მხოლოდ ჰაერით. ბევრის გულისა და ფილტვების ავთმყოფობას, რომლებსაც აქამდე არ შეიძლებოდა წამლებით არამც თუ სრულიათ მორჩენა, არც შემსუბუქება, ეს აპარატი ზოგიერთს მათგანს სულ არჩენს და ბევრს შემსუბუქებას აძლევს.  
უ. ბახუტოვი ახდევინებს ავთმყოფებს თითო ხმარებაში იმ აპარატისა—თითო მანეთს და შეუძლებლები სარგებლობენ უფასოთ.

რ. ბ. ზ. ა.	დილა.	საღამ.	II კ.	III კ.
მთელიანი	11 18	8		
მცხეთა	18 87	10	68	38
ზორი	91 39	1 43	2 40	1 23
სურამი	1 52	4 30	3 92	2 18
ბეჟათუბანი	3 45		4 42	2 46
ქვირილი	6 49		5 81	3 23
მუთაისი	7 55		6 75	3 75
სამტრედია	9 2		7 73	4 29
ახ.-სენაკი	10		8 57	4 76
შოთი	11		9 75	5 42
შოთი	7 38			
ახ.-სენაკი	9 11		1 18	66
სამტრედია	10 12		2 6	1 14
მუთაისი	11 17		3 4	1 69
ქვირილი	12 38		3 98	2 21
ბეჟათუბანი	3 27	ლაგე	5 33	2 96
სურამი	4 57	12 30	5 84	3 24
ზორი	7 23	3 31	7 36	4 9
მცხეთა	9 52		9 8	5 4
მთელიანი	10 49	8	2 9	7 5 42

სეხლის გემები			
ა) შოთიდან:			
მდებისკენ	—	ორშაბ.	დილის 8 საათ.
სტამბოლს	—	კვირაობით	დილას.
ბ) სოხუმშიდან:			
შოთს	—	სამშაბათს,	ლაშით.
მდებს	—	კვირას,	გათენებისას.
შოთიდან:			
I	II	III	
სოხუმამდი	4	3	1
ქერჩამდი	20 50	15 50	5
ტავანოვ.	34	27	8 60
მდებსამდი	38	30	9 60
ტელეგრაფი			
მცი სიტყვა	მთელიანი	მ. კაპ	
მუთაისის,	შოთს	1	
ზორს,	ლუშეთს,	სიღნაპს	50
როსტოვს	მდებსას	მოსკოვს	2
პეტერბურგს,	პარშაფას		2
მსპალეთში,	შვეიცარიაში		3
იტალიაში	და საფრანგეთში,		3 50
ინგლისში.			3 75

ფოტობა	
ა) მთელიანი დამ:	
სამზღვარ გარეთ,	მუთაისს,
რუსეთს	—
ყოველ დღე	კვირას გარდა.
ზუგდ.	ოთხშ.,
მსურვეთს	—
პარასკე	და
ორშაბ.	ბაქოს
—	ორშ.
სამშაბ.	და
შაბ.	შაბ.
ბ) მუთაისი დამ:	
მთელიანი	და შოთისკენ
—	ყოველ დღე,
კვირას	გარდა.
მსურვეთს	—
ორშ.	და
პარასკე	ზუგდიდს
—	ოთხშაბ.
გ) ზორი დამ.	
ყოველგან	ყოველ დღე,
კვირას	გარდა.
დ) შოთი დამ:	
ყოველგან	ყოველ დღე,
კვირას	გარდა.
ე) ფიგნის გაგზავნარუსეთში:	
ლა წიგნის	5
დაბეჭდილის	(სამი მისხალი)
	10

ბირჟა	
პეტერბურგი,	12 მაისს.
ერთი მანეთი	ღირს:
ლონდონში	33 1/2 პენსი.
პარიზში	348 სანტიმი.
მსკონტი(სარგებლისფასი)	5
ბანკის	ბილეთი 5%
მოგებიანი(პირველისესხი)	207 50
მოგებიანი(მეორესესხი)	203
ბორაოს	ფურცლები:
მთელ.	სააზნ.
ბანკისა.	ბერსონის
ბანკის (5 1/2)	88 60
მოსკოვის (5%)	80 50
აქციები:	
მდების	საფურცო ბანკის.
შოთი-მთელ.	კრინგზის
შვეიცარიის	ცეცხ. გემების
ქავკასის	და მეტურის.
პირვ.	საზღვევ. საზოგ.
პეტერბ.	საზღვევ. საზ.
მოსკოვის	საზღვევ. საზ.
	257 65

მან. კაპ		მან. კაპ	
მან. კაპ			
მთელიანი, 15 მაისს			
		პური შორაგალის ფთ.	1 20
		ქერი ფუთი.	60
		ბამბა პრევენისა, ფუთი.	4 50
		— ამერიკისა, ფუთი.	6 65
		ბაქენტილი ბამბა ფთ.	8
		მატული თუშური ფთ.	6 50
		— მარაქაშისა ფთ.	3 60
		პბრეშუმი ნუბური გრ.	2 60
		შონი, ფუთი.	4
		შონის საწითელი ფუთი.	5 60
		სტეარინის საწითელი, ფ.	10 20
		ხორცი ძროხისა, ლიტ.	60
		— ცხვრისა, ლიტრა.	70
		სპირტი, ვედრო.	7
		შაქარი, კარგი ფუთი.	8 45
		— ფხვნილი ფუთი.	6 90
		შავა გრგვალი ფუთი.	18 50
		ჭითი ქუჩუთისა ფთ.	6 50
		მქრო 1/2 იმპერიალი.	5 85